



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მენადირეობა

მენადირეობა, მეცხოველეობის დარგი, რ-ის დანიშნულებაა ძვირფასბენჯიანი ნადირის მოშენება სპეც. მეურნეობებში ბენჯეულის მისაღებად. ამ მიზნით აშენებენ წაულას, მოშავო-მოვერცხლისფრო მელას, არქტიკულ მელას, მელას, ნუტრიას, თახვს, შინშილას, სიასამურს, კვერნას, ენოტისმაგვარ ძაღლს, ზაზუნას, ფოცხვერს, წავსა და სხვ.

მეცნიერთა მტკიცებით, მ., სავარაუდოდ, წარმოიშვა XVI-XVII სს-ში (ამ პერიოდში ჩრდ. რუსეთის მოსახლეობამ დაიწყო მელიისა და არქტიკული მელიის მოშენება ტყავ-ბენჯეულის მისაღებად). 1827 სტოკჰოლმის მახლობლად ბენჯეულის დასამზადებლად ბიორკმანმა შექმნა მეურნეობა, სადაც დაიწყო მელიების მოშენება. 1861 ნიუ-იორკში ტ. ფილიპსმა და ვ. ვუდკოვმა დააარსეს წაულას საშენი. 1887 კანადაში, პრინც ედუარდის კუნძულზე ჩ. დოლტონმა მოაშენა ვერცხლისფერ-შავი მელა. 1901 მან ლონდონში გამართულ აუქციონზე მელიის პირველი ტყავი 2718 დოლარად გაყიდა. მ. განვითარებულია აშშ-ში, დანიაში, ჩინეთში, ნიდერლანდებში, ფინეთში, კანადაში, პოლონეთსა და შვედეთში.

სსრკ-ში მ. 1928-29 დაიწყო. სპეციალიზებული მეცხოველეობის მეურნეობები სანაშენე ნადირით ამარაგებდნენ კოლ-ბებისა და საბჭ. მეურნეობების მ-ის ფერმებს. სანაშენე მუშაობა ტარდებოდა ტანად დიდი, ნაყოფიერი, სიცოცხლისუნარიანი, ძვირფასბენჯიანი ნადირის გადარჩევა-შერჩევის გზით. სანაშენე მეურნეობაში გენეტ. ხერხების გამოყენებით მიიღეს მრავალგვარი ფერადბენჯიანი ნადირი: 34 ტიპის ფერადი წაულა, რამდენიმე ტიპის ფერადი მელა და ცისფერი ყარსალი. მელიისა და ყარსალის სამეურნეო გამოყენების ვადა 9-10 წელია, წაულისა - 5-6, ნუტრიისა - 3-4, სიასამურისა - 12-14. მ., როგორც სამეცნ. დისციპლინა, ისწავლებოდა უმაღლესი და საშ. სას.-სამ. სასწავლებლების ზოოტექ.

ფაკ-ტბე. სამეცნ.-კვლ. მუშაობას ხელმძღვანელობდა ბენჯეული მ-ისა და მებოცვრობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტი (მოსკ. ოლქი). მ-ის კურსი იკითხებოდა საქართვე. სას.-სამ. ინ-ტის სატყეო ფაკ-ტბე.

სხვადასხვა დროს საქართველოში შემოიყვანეს ჩრდილოამერიკული ენოტი და ანდატრი, ასევე სამხრეთამერიკული ნუტრია. ჩვენში ნუტრიის ინტროდუქციას უფრო სტიქიური ხასიათი ჰქონდა. მას ძირითადად კერძო პირები აშენებდნენ, რ-ებმაც ნავარაუდები შემოსავალი ვერ მიიღეს, რადგან ჩვენს პირობებში ნუტრიის ბენჯი უხარისხოა, ხორცი საკვებად გამოიყენება, თუმცა მოწონებით არ სარგებლობს.

XXI ს. დასაწყისისთვის მიზანმიმართული სელექციის გზით მიღებულია სხვადასხვა შეფერილობის ცხოველის მრავალი ჯიში და ტიპი, მ. შ. ისეთიც, რ-იც ველურ ბუნებაში არ გვხვდება: ნაულა -44, არქტიკული მელა - 14, მელა- 20, სიასამური - 4, ნუტრია - 17 და შინშილა - 12. მ. ეკოლოგიურად სუფთა ინდუსტრიაა, რ-იც ხელს უწყობს ველური ფაუნის შენარჩუნებას. მ-ში საკვებად იყენებენ ხორცის, რძისა და თევზის გადამამუშავებელი მრეწველობის ნარჩენებს; ხელოვნური ბენჯის წარმოებაზე ზოგავენ დანახარჯებს ენერჯიასა და სხვადასხვა საშუალებაზე.

მ-ის განვითარებას ხელს უწყობს საქართვე. სოფლის მეურნ. მეცნ. აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნ. განყ-ბა და საქართვე. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნ.-კვლ. ცენტრის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტი.

ა. გიორგაძე
